RUSUDAN – THE PATEMAL AUNT OF KING TAMAR AND HER ROLE IN THE LIFE OF THE ROIAL COURT OF GEORGIA

თამარის მამიდა რუსუდანი და მისი როლი საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებაში

Giuli Alasania
Doctor of Historical Sciences,
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
President of the University of Georgia, Georgia,
ORCID ID: 0000-0002-4367-0085
(+995)591401137, giulialasania@gmail.com

Abstract

According to Georgian chronicler of the 17th c. Parsadan Gorgijanidze, following the demise of Tamar's father Giorgi III, Tamar's paternal aunt Rusudan desired to rule Georgia: "Queen Rusudan - the sister of King Giorgi - desired to reign in her father's and brother King Giorgi's stead".

There is no such information in any of the stories of the Georgian Chronicles (the Life of Kartli) describing the years under consideration. At the same time, Parsadan had access to some sources which are no longer available to us, which gives us the opportunity to complete and correct some pages from the history of Georgia. We have tried to check the accuracy of the aforementioned information provided by Parsadan and demonstrate the extent to which the material at our disposal allows for the likelihood of Parsadan's version.

It should be assumed that Shota Rustaveli's poem "the Knight in the Panther's Skin" sheds light upon what official chroniclers are trying to avoid. The fact that Rusudan was a strong and influential person at the royal court can be evidenced not only by the poem (Davar), but also by the relevant parts of the Georgian Chronicles (the Life of Kartli). Rusudan was the very person who would have been able to gather and bring out forces dissatisfied with the reality at the king's court. Nonetheless, the Georgian Chronicles (the Life of Kartli), which is the official version of the country's past, does not say anything about it. It cannot be ruled out that the uprising started with the assassination of Giorgi III. Information on this assumption is not available either in the Georgian Chronicles (the Life of Kartli) or in the poem that was created soon after the historical developments in question. However, the relevant parts of the Georgian Chronicles (the Life of Kartli) openly speak about the widespread discontent over King Giorgi's policy. At the same time, in the absence of Giorgi III, it was obviously easy to get Tamar out of the way. The composition of the first historian of Tamar and the data of a chronicler of Lasha-Giorgi's epoch seem to lead to this very assumption.

The juxtaposition of the data of King Tamar's chroniclers and "the Knight in the Panther's Skin" gives rise to an assumption that in the reign of Giorgi III, after the suppression of the revolt of the Orbels, despite the expulsion of a large number of the rebels, there were still many of their supporters in the country. This seems to have given hope to his sister Rusudan – the daughter of Demetre I – to seize the

royal throne. This was the reason behind the large-scale uprising at the beginning of Tamar's reign.

The uprising that took place at the beginning of Tamar's reign seems to have had two stages. Presumably, the initial goal of the uprising of the noble was to enthrone Rusudan. Yet, later on, some other dissatisfied strata joined the rebellion. These were merchants and representatives of the the upper strata, which was no longer in the plans of the leaders of the uprising. Therefore, the latter chose to reconcile with the opponents. The situation was changed by Tamar's second marriage, after which Rusudan remained an influential person at the court.

Key Words: King Tamar, Queen Rusudan, Giorgi III, Shota Rustaveli

გიული ალასანია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი
ORCID ID: 0000-0002-4367-0085
(+995)591401137, giulialasania@gmail.com

აბსტრაქტი

მე-17 საუკუნის ქართველი მემატიანის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თამარის მამიდამ, რუსუდანმა თამარის მამის, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფობა მოინდომა: „აქა რუსუდან დედოფალს, გიორგი მეფის დასა, უნდოდა თვისი გაჴემწიფება, მამის მისის და ძმისა, მეფის გიორგის, ალაგს გამეფება“ .

„ქართლის ცხოვრების“ არცერთ ჩვენთვის საინტერესო წლების აღმწერ თხზულებაში მსგავსი ცნობა არ არის შემორჩენილი, ამავე დროს, ფარსადანს ხელთ ჰქონდა ზოგიერთი წყარო, რომელიც დღეს ჩვენთვის აღარ არის მისაწვდომი, რაც იძლევა შესაძლებლობას შეივსოს ან ჩასწორდეს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფურცელი. შევეცადეთ შეგვემოწმებინა ფარსადანის ზემოთ მოტანილი ინფორმაცია და გვეჩვენებინა, თუ რამდენად იძლევა ჩვენს ხელთ არსებული მასალა ფარსადანის ცნობის დაშვების შესაძლებლობას.

სავარაუდოა, რომ იმას, რასაც გვერდს უვლიან ოფიციალური მემატიანეები, ნათელს ფენს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ის, რომ რუსუდანი კარზე ძლიერი და გავლენიანი პიროვნება იყო, ეს პოემის გარდა (დავარი) „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის თხზულებებშიც კარგად ჩანს. სწორედ რუსუდანს შეეძლო შემოეკრიბა და გამოეყვანა მეფის კარზე არსებული რეალობით უკმაყოფილო ძალები, თუმცა ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ქვეყნის წარსულის ოფიციალური ვერსიაა, არაფერს ამბობს. არ არის გამორიცხული, რომ აჯანყება გიორგი III-ის მკვლელობით დაწყებულიყო, რის შესახებაც ინფორმაცია უკვე არამარტო „ქართლის ცხოვრებაში“, არამედ არც პოემაშია, რომელიც მოვლენებთან ახლო დროში შეიქმნა, თუმცა, „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი თხზულებები არ მალავენ, რომ უკმაყოფილება გიორგის გატარებული პოლიტიკით დიდი იყო.

ამასთანავე, გიორგი III-ის არყოფნის პირობებში, ცხადია, ადვილი ხდებოდა თამარის გზიდან ჩამოშორება. ამ ვარაუდისკენ მივყავართ თითქოს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებასა და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის მონაცემებს.

თამარ მეფის მემატიანეებისა და „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემების შეჯერების საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ გიორგი III-ის მეფობის წლებში ორბელების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ამბოხებულების დიდი ნაწილის განდევნის მიუხედავად, ქვეყანაში მათი ბევრი მომხრე რჩებოდა, რამაც მის დას, რუსუდანს, რომელიც დემეტრე I-ის ასული იყო, როგორც ჩანს, ტახტის დაუფლების იმედი გაუჩინა. სწორედ ეს გახდა თამარის მეფობის დასაწყისში ფართომასშტაბიანი აჯანყების მიზეზი.

თამარის მეფობის დასაწყისში მომხდარი აჯანყება, როგორც ჩანს, ორ ეტაპად მიმდინარეობდა. დასაწყისში დიდგვაროვანთა აჯანყების მიზანი სავარაუდოდ, რუსუდანის ტახტზე დასმა იყო, თუმცა მოგვიანებით მათ სხვა უკმაყოფილო ფენებიც შეუერთდნენ - ვაჭართა და მოქალაქეთა ზედა ფენები, რაც აჯანყების ლიდერების გეგმებში აღარ შედიოდა, რის გამოც მოწინააღმდეგებთან მორიგება არჩიეს. ვითარება შეცვალა თამარის მეორე ქორწინებამ, რომლის შემდეგაც რუსუდანი კარზე კვლავ გავლენიან პიროვნებად რჩებოდა.

საკვანძო სიტყვები: თამარ მეფე, რუსუდან დედოფალი, გიორგი მესამე, შოთა რუსთაველი.

შესავალი

მე-17 საუკუნის მემატიანის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თამარის მამიდამ, რუსუდანმა, თამარის მამის, გიორგი III- ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფობა მოინდომა: „აქა რუსუდან დედოფალს, გიორგი მეფის დასა, უნდოდა თვისი გაჯემწიფება, მამის მისის და ძმისა, მეფის გიორგის, ალაგს გამეფება“.

„ქართლის ცხოვრების“ არცერთ ჩვენთვის საინტერესო წლების აღმწერ თხზულებაში მსგავსი ცნობა არ არის შემორჩენილი. ამავე დროს, როგორც არაერთმა მაგალითმა აჩვენა, ფარსადანს ხელთ ჰქონდა ზოგიერთი წყარო, რომელიც დღეს ჩვენთვის აღარ არის მისაწვდომი, რაც იძლევა შესაძლებლობას შეივსოს ან ჩასწორდეს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფურცელი. შევეცდებით შევამოწმოთ ფარსადანის ზემოთ მოტანილი ინფორმაცია და ვნახოთ რამდენად იძლევა ჩვენს ხელთ არსებული მასალა ფარსადანის ცნობის დაშვების შესაძლებლობას.

მეთოდები

ამჟამად ხელმისაწვდომი მასალების შედარებით, მათი ყოვლისმომცველი სინთეზის, კრიტიკული ანალიზის და დედუქციის საშუალებით ახალი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეულწილად შეავსებს „თეთრ ზონებს“ და შეარბილებს არსებულ დაპირისპირებას წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს და მათ ინტერპრეტაციებს შორის.

შედეგები

გიორგი III-ის მეფობის წლებში ორბელების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ამბოხებულების დიდი ნაწილის განდევნის მიუხედავად, ქვეყანაში მათი ბევრი მომხრე რჩებოდა, რამაც მის დას, რუსუდანს, რომელიც დემეტრე I-ის ასული იყო, როგორც ჩანს, ტახტის დაუფლების იმედი გაუჩინა. სწორედ ეს გახდა თამარის მეფობის დასაწყისში ფართომასშტაბიანი აჯანყების მიზეზი.

მსჯელობა

დემეტრეს ასული რუსუდანი, თამარის მეორე ისტორიკოსის გადმოცემით, „სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამე(ლთა) და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 483) გათხოვილი იყო სელჩუკ სულტან მას'უდზე. მისი გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი გახდა მისი ძმის, სულაიმან-შაჰის ცოლი - 11531154 წწ.-ში. თუმცა ქორწინების ღამეს მან მიატოვა „ქართველთა მეფის ასული“ „აბხაზი ქალბატონი“ და გაიქცა, მოსალოდნელი შეთქმულების გამო. რუსუდანის ქმრებად ლიტერატურაში ივარაუდებიან სანჯარი, არსლან-შაჰი და სულაიმან-შაჰი (ს. ერემიანი, ს. კაკაბაძე), აგრეთვე ხვარაზმ-შაჰი კუტბ ად-დინ მუჰამადი (1097-1127) და კიევის მთავარი იაზასლავი (კ. თუმანოვი, ი. ცინცაძე). (იხ. ჯაფარიძე, 1995: 95-96). „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში რუსუდანი რამდენიმეჯერ იხსენიება. თამარის პირველ ისტორიკოსს შემონახული აქვს ცნობა რუსუდანის მონაწილეობაზე 1164 წელს ელდიგუზ ათაბაგთან ზავის დადებაში (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 391; ჯაფარიძე, 1995: 109).

ამავე მემატიანის მომდევნო ცნობა ეხება გიორგი III გარდაცვალებას. აქ ნათქვამია, რომ მამის გარდაცვალების ამბავი თამარს შეატყობინეს „ქალაქსა შინა თბილისს, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს“ ((ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 399), რის შემდეგაც „წარსრულმან პატრიარქმან და დიდებულთა კმასაყოფელთა წარმოიყვანეს სამშჳლდით“... „და მეფისა, დედოფალი რუსუდან, თანა გაზრდილისა მისისა, რომელთადა შემყრელნი იყვნეს“. ხოლო, როდესაც შევიდნენ „ტაძარსა სამეუფოსა“ „მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიაქი, ყოველთა ებისკოპოსთა თანა მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ჴელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი, ...“ „და კუალად ამხილველთა იხილეს კედლებიცა სრისა სავსე მეომერთა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხები აწყუედილი და ოჴერქმნილი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 400). იქვე, იგივე მემატიანე მოგვითხრობს თუ როგორ მიმართეს რუსუდანს „შეყრილთა შჳდთავე ამის სამეფოთა“ თხოვნით დაეთანხმებია თამარი მეფობაზე“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 400). აქვეა ცნობა იმის შესახებ თუ როგორ უხვად ეწეოდა რუსუდანი ქველმოქმედებას - „თჳთ დედოფალი რუსუდან სწორად აღსრულებულ იყო თჳთ მისთჳს და გაზრდილისა მისისათჳს მიცემითა ქალაქთა, ხედჳთა, სოფელთაცა სამსჭუალთათა“ (ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთანი, 2008: 404).

მომდევნო ცნობა ეხება სოსლანს: „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალსა რუსუდანს, ვინათგანთჳს ეყოდა მამისდისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა.“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 419-420).

ერთ-ერთი ცნობით, რუსუდანი უზრუნველყოფს განდევნილი გიორგი რუსის საქართველოდან მშვიდობიანად გასტუმრებას, ხოლო მომდევნო ცნობა დაკავშირებულია ლაშა გიორგის გაჩენასთან (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 429). მოგვიანებით რუსუდანი იხსენიება როგორც წვეულებაზე ერთ-ერთი საპატიო დამსწრე „ამირ-მირან ფალავანდის შვილი და აღსართან შარვანშა ყოვლითა არანისა დიდებულითა და ღულამითა“, „აწჳეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 435).

რამდენიმეჯერ იხსენიება რუსუდან დედოფალი თამარის მეორე ისტორიკოსთან. პირველად მისი ძმის გიორგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „გარდაიცვალა მეფე გიორგი. და (ე)ქმნა გლოვა და მწუხარება უზომო (ყოველთა), უფროსღა დასა თჳსსა რუსუდანს. ესე იყო სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამე(ლთა) და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი, სიქურივისათჳს თჳსადვე მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჯდა ქართველთად, უფროსღა დიდებად სახლისა თჳსისად და ყოვლისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თჳსსა მამიდასა თანა, დითურთ თჳსით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, - რომლისათჳს აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად, თუ რაოდენ შუენიერება და თა(გ)დგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოველთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე; რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღე(თა) მან შეიყუარა მტკიცედ ქალწულობა, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 483). დაბოლოს რუსუდანი იხსენიება როგორც თამარის პირველ ქმართან გაყრის და მეორედ დაქორწინების მონაწილე (ქართლის ცხოვრება, 2008: 488).

როგორც ვხედავთ, „ქათლის ცხოვრების“ შესაბამის თხზულებებში თამარის აღმზრდელი მამიდა რუსუდანი ძირითადად დადებით პიროვნებად არის წარმოდგენილი, ამავე დროს ადამიანად, რომელსაც არ ჰქონდა პირადი ცხოვრება, რომლის ქორწინებებიც უიღბლო აღმოჩნდა, რის შემდეგაც დაბრუნდა საქართველოში და გავლენიან პირად იქცა მეფის კარზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ მიექცა ყურადღება მის მსგავსებას „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთან, დავართან, მეფე ფარსადანის დასთან და ნესტან-დარეჯანის მამიდასთან – „დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“ (შოთა რუსთაველი, 1970:220, 283 სტრ. ქვემოთ ყველგან ვუთითებთ აღნიშნულ გამოცემის სტროფებს. გ.ა.). ნესტან-დარეჯანისათვის საქმროს არჩევაში მეფე და დედოფალი მონაწილეობენ: (სტრ. 457, 459, გვ. 245) - „მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია ...“ დედოფალმან

თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი, მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი“. (სტრ. 506, 510, გვ. 251-252) - ტარიელი კლავს მეფე-დედოფლის არჩეულ ხვარაზმელ სასიძოს, რითიც იმსახურებს ფარსადანის რისხვას: „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე? თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“ და პასუხად იღებს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.“ (სტრ.518, გვ. 254) - ფარსადანი ამ მკვლელობის წამქეზებლად მიიჩნევს თავის დას და საჯაროდ იმუქრება: „აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა, მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა, მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა? თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო, მისად პატიჟად მზად ეს-ა“ ... (სტრ. 519) - „ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის, მან უანბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებისა ცაცა იცის“. (სტრ. 520) „დავარ, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან: თავი ფიცი ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან“. ამას მოყვება დავარისაგან სრულიად წარმოუდგენელი რეაქცია ნესტანის ცოცხალი მამის, ფარსადან მეფის გვერდით. (სტრ. 521, 522) - „დავარ მოსთქმიდა სიტყვითა, რომელნი არა მსმენოდეს: „ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ? ვეჭვ, შენცა არა გლხენოდეს“. (სტრ. 523) - „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკლვევინე? ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე? არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ, რა გაქმნევინე? აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიხვდე, ვის ესე დააშლევინე“. (სტრ. 523) - ხელი მიჰყო, წამოზიდნას, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა. მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთქვნა, ოდენ უშნა, ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა“. (სტრ.524) - „რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა, წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა, მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებითა, მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა“ (სტრ.525) - „ზღვისაკენ გავლნეს სარკმელნი; მაშინვე გაუჩინარდა. დავარ თქვა: „მქნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და-. ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა. დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა გასისხლმდინარდა“.

საქართველოს ისტორიის ყველაზე წარმატებული წლები ქართულ წერილობით წყაროებში ძუნწად არის წარმოდგენილი. საქართველოს ის-ტორიის ოფიციალურ ვერსიაში („ქართლის ცხოვრებაში“) თამარის წლები სამი თხზულებით არის შემორჩენილი. ესენია პირობითად დასათაურებუ-ლი როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სავარაუდოდ ცნობილი როგორც პირველი ისტორიკოსის თხზულება, ასევე გარკვეულ არგუმენტებზე დაყრდნობით მეორე ისტორიკოსად მიჩნეული ავტორის ნაშრომი, პირობითად დასათაურებული როგორც „ცხორებაჲ მეფეთ მეფისა თამარისი“ და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის მცირე მოცულობის რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგენილი თხზულების ერთ-ერთი თავი. ამის გამო იმ წლების არაერთი საკითხი დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში დავის საგნად რჩება.

გარკვეული დროიდან საქართველოში სამეფო ხელისუფლება მემ-კვიდრეობით მეფის უფროს შვილზე გადადიოდა (ცნობა აღნიშნულ ტრა-

დიციაზე მოიპოვება გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში), თუმცა ქვეყნის ისტორია იცნობს გამონაკლისებსაც, როდესაც ან თვითონ მეფე აძლევდა უპირასტესობას მომდევნო შვილს, რაც დემეტრე I-ის შემთხვევაში მოხდა („დემეტრე მეფე ყოფილა მარჩეველი ძისა უმცროსისა“, ე. ი. გიორგისა - (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008:379), ან დიდებულები აწყობდნენ აჯანყებას უმცროსი შვილის მხარდასაჭერად.

დავით აღმაშენებლის შემდგომ ტახტი უფროს შვილზე (დემეტრეზე) გადავიდა, რომელიც მეფეს პირველი ქორწინებიდან დარჩა, თუმცა მომხრეები ყავდა ყივჩაღი ცოლისაგან გაჩენილ შვილსაც (ვახტანგს), რაც ჩანს ნაყალბევად მიჩნეული 1125 წლის საბუთიდან [თუმცა მისი ნამდვილობა დამაჯერებლად დაასაბუთა მ. სურგულაძემ (სურგულაძე, 2006: 195-200] „ანდერძი დიდისა მეფეთ-მეფისა დავით აღმაშენებლისა პანკრატიონ დავითიანისა, რ(ომე)ლი წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა“, სადაც ნათქვამია: „რ(ამეთუ) მომცა პირუფლ შვილი, ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ცხოვნებითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა, და ნამდვილ ესევითარიჯერ იყოს მეფე ...“ „ძმაჲ მისი გაზარდოს და, თუ ინებოს ღ(მერ) თ(მა)ნ და ვარგ იყოს ცუატა (ე.ი. უმცროსმა - გ. ა.), შ(ემდგომა)დ მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზ(ედ)ა“ (ანდერძი დავით მეფისა, 1984: 80-83).

შემორჩენილია აგრეთვე ცნობა აჯანყებაზე დემეტრეს წინააღმდეგ როგორც სომხურ წყაროებში, ასევე ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეში გარკვეული სხვაობებით, როგორც შინაარსში ასევე დათარიღებაში. მე-13 საუკუნის სომეხი მემატიანის ვარდანის გადმოცემით, 1132 წელს, „ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრეს და მისი ძმის გიორგის მოკვლა ... ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს...“ თუმცა იმავე ავტორის თანახმად, ივანე „გაგულისებული“ ეუბნება მეფეს : „მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა“, ე.ი. აქ გიორგი შეცდომით იხსენიება, უნდა იყოს, როგორც ჩანს, ვახტანგი, დემეტრეს უმცროსი ძმა, რომელიც დემეტრემ „შეიპყრო..„ თვალები დასთხარა და გაუშვა“ (ვარდან არეველცი, 2002: 142-143; 226; ვახუშტი, 1973:159; ჯავახიშვილი, 1983: 223).

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1145 წლით ათარიღებს შემდეგ ცნობას: “დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობასა მისსა და მეტეხთა დადვა ფიცისა არგატეხისათვის“ (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, 2008: 352). ამასთანავე რეალურია, როგორც ირკვევა, ერთ-ერთი ქრონიკის ცნობა დავითის აჯანყებაზე მამის წინააღმდეგ: „ქრონიკონსა ტო (370) დასაბამით-გან ხღნდ (6754) აქა დ-თ (დავით) დ(ემეტრე)ს გაადგა-ო“ (ჟორდანია, 1892: 250). აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსიც, რომელიც დემნა უფლისწულის აჯანყებაზე საუბრისას პარალელს ავლებს დემეტრეს წინააღმდეგ დავითის ასევე წარუმატებელ აჯანყებასთან: „დავით-ცა მამამან მისმან ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყჳდნა ამის სამეფოსა დიდებულნი ექსორია ქმნილნი, რომელნიმე სიკუდილითა და რომელიმე განპატიჟებითა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008:394). განსხვავდება წყაროებში ცნობები

დემეტრეს შემდგომ წლებზეც. ვარდანის გადმოცემით 32 წლიანი მეფობის შემდეგ დემეტრე გარდაიცვალა, რის შემდეგაც ტახტზე ავიდა მისი შვილი დავითი, რომელმაც ციხიდან გამოიყვანა „მამის მიერ შეპყრობილი თირქაში, დააყენა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგი ამბობს, რომ (ის მოკლულ იქნა) სუმბატ და ივანე ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ ადგილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ ის დანიშნავდა (მათ) მხედართმთავრად“. სტეფანოს ორბელიანი ამბობს, ვითომც გიორგი III-ის უფროს ძმას დავითს სიკვდილის წინ თავისი მცირეწლოვანი შვილის დემეტრე-დემნას პატრონად დაენიშნოს და მისთვისვე ჩაებარებინოს დემნას სრულწლოვნობამდე სამეფოს მართვა-გამგეობა, ვითომც შემდეგ მეფობა დემნასთვის უნდა დაეთმო, თვითონ კი თავის ხვედრს საუფლისწულო მამულს დასჯერებოდა. იმავე ავტორის სიტყვით ამ ანდერძის დამსწრეთ ვითომც ყოფილიყვნენ ქართველი დიდებულებიც, მათ შორის ამირსპასალარი ივანე ორბელიც, რომელსაც დავითმა თავისი შვილი დემნა ჩააბარა. გიორგი მეფეს მეფობა გაუტკბა ... თავისი სიტყვა არ შეასრულა და ამიტომ მოხდა აჯანყებაო (ვარდან არეველცი, 2002: 145; დავლიანიძე, 1968: 117; კვაჭანტირაძე, 1989:106, 107).

ქართული წყარო განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. ლაშა-გიორგის მემატიანეს მიხედვით, დემეტრემ „წარვლო ცხოვრება და მიიწია სრულქმნილი სიბერესა, შეიმოსა ჩოჴა და იკურთხა სქემა“. და „დასუეს მეფედ ძე მისი დავით მეფედ, იმეფა ექუს თუე და მოკუდა. შემდგომად მისა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა. ამასვე წელსა მოკუდა დემეტრე მეფე (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, 2008: 352). „ისტ. და აზმანი შარავანდეთთანი“-ს მიხედვით, (დემეტრეს) „ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითი დღეთა შემცირებითა სრულ-ყო პირველ მამისა“(ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 379). ამასთანავე ივანე ორბელის და გიორგი მეფის მოკავშირეობას ეჭვქვეშ აყენებს პირველის დემნას მომხრეობა (ჯავახიშვილი,1983: 226).

ქართული წყაროსაგან განსხვავებული სომხური წყაროების ინფორმაცია, შესაძლოა, არცთუ უსაფუძვლოა, რის გამოც გიორგი III, ბევრის აზრით, უზურპატორად იყო მიჩნეული, რადგან „ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა“. ორბელთა წარუმატებულ აჯანყებას ემსხვერპლა დემეტრე (დემნა), რომელსაც „თუალნი დასწუნეს, მოკუდა და მცხეთას დამარხეს“.

თამარის თანამოსაყდრედ დასმა მამის გიორგი III ხელით მისთვის მეფობის გარანტია უნდა ყოფილიყო, თუმცა გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თამარი მაშინვე ტახტზე არ ადის, რაც მკვლევრებს შეკითხვებს უჩენს. გავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილი, რომლის პირველი შეკითხვა ეხება თამარის ტახტზე ასვლის დაყოვნების მიზეზს, მიუხედავად იმისა რომ იგი „ტახტის უეჭველი მემკვიდრე იყო”. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „გიორგის გარდაცვალების შემდეგ რაღაც ამბავი უნდა მომხდარიყო, რომ ერთხელ ტახტზე ასული დედოფალი ხელ-მეორედ აუყვანიათ და გაუმეფებიათ“ (ჯავახიშვილი, 1983: 114).

მოხდა ალბათ ის, - აგრძელებს როინ მეტრეველი, - რომ ფეოდალებმა დრო იხელთეს ძლიერი გიორგი III გარდაცვალების შემდეგ, მსწრაფლ შეეცადნენ, არ გაგრძელებულიყო მისი პოლიტიკა და თამარის სამეფისკარო პოლიტიკის ხელწერაზე თავისი გავლენის აშკარა თავსმოხვევა მოინდომეს“ (მეტრეველი, 2002: 473-474).

ივ. ჯავახიშვილის ყურადღებას იქცევს მიქაელ კათალიკოზი. „გიორგი III-ის სიკვდილის ჟამს, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით მიქაელი ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქი ყოფილა, ვაზირთა უპირველესად და მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლად კი - ანტონი. მეორე ისტორიკოსის მიხედვით კი თამარის ტახტზე ასვლისთანავე საეკლესიო კრების მოწვევისას, მიქაელი უკვე არამარტო კათალიკოზი, არამედ ჭყონდიდელ-მაწყუერელი და მწიგნობართუხუცესიც იყო. ამავე მატიანიდან ვიგებთ, რომ „ანტონი გლონის-თავის-ძე“ ... „პირველ ჭყონდიდელი იყო“, მაგრამ ეს უზენაესი ხელიუსუფლება „მიქაელ კათალიკოზმან მას მისტაცაო“, რაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმავე 1184 წელს უნდა მომხდარიყო, ხოლო თამარის მეორე ისტორიკოსის გადმოცემიდან გამომდინარე, ეს ამბავი თამარის ტახტზე ასვლამდე და, როგორც ჩანს, მისი სურვილის წინააღმდეგ უნდა მომხდარიყო. მკვლევარი ყურადღებას აქცევს ამავე ისტორიკოსის ცნობას იმის შესახებაც, თუ ვისგან ჰქონდა მიღებული მიქაელ კათალიკოზს ჭყონდიდლობა-მწიგნობართუხუცესობა. მკვლევარი გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ეს თანამდებობა მიქაელს გიორგი III- გან ჰქონოდა მიღებული. ისტორიკოსი ამბობს, რომ ეს თანამდებობა მიქაელმა „მოივერაგა უფლისაგანო“ ანტონ გლონის-თავის ძეს ეს ხელისუფლობა „მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახვითა ...“ ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ისტორიკოსთან მოხსენიებული „უფალი“ გულისხმობს თამარის მამიდას, რუსუდანს, რომელსაც „ამ გარდამავალ ხანაში, გიორგი III-ის სიკვდილის შემდგომ, თამარის გამეფებამდე, საქართველოს სახელმწიფო საქმეების მესაჭეობა“ ებარა (ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. - თხზულებანი II, გვ. 114). (ი. ჯავახიშვილი. 1984: 113-114). მიქაელს ამიერიდან მეფეზე მეტი ხელისუფლება ეძლეოდა, ვინაიდან მეფეს მისგან განსხვავებით საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. ი. ჯავახიშვილის ვარაუდით ეს ჯილდო მიქაელს განსაკუთრებული ღვაწლისათვის ჰქონდა მიღებული, რაც, შესაძლოა, თამარის გამეფების უფლების საცილობლად ქცეული საკითხის მშვიდობიანად და თამარის სასარგებლოდ გადაწყვეტის ხელის შეწყობას გულისხმობს.

დაბოლოს, ივ. ჯავახიშვილი თამარის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხის გაშუქების შემდეგ შენიშნავს: „ გასაოცარი კია, მაგრამ ჩვენთვის წარსულის ამ საგულისხმიერო ამბის შესახებ ამაზე მეტი ცნობები არც თამარ მეფის ისტორიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში არ მოიპოვება. იქნებ მომავალში ამის თაობაზე ახალი რაიმე მასალა აღმოჩნდეს და მაშინ ყველაფერი დაწვრილებით გაირკვეს...“ (ჯავახიშვილი,1983: 248).

თამარის მეფობის დასაწყისში მომხდარ აჯანყებას არაერთი მკვლევარი შეხებია. ყურადღება გამახვილებულია აჯანყების მსვლელობაზე, აჯანყებულთა სოციალურ კუთვნილებაზე, მათ მოთხოვნებზე, თამარის

ქორწინებებზე, ორსავე შემთხვევაში საქმროს შერჩევის გადაწყვეტილების მიმღებთა მოტივაციაზე, მართვის ხასიათზე აჯანყებამდე და აჯანყების შემდეგ.

თუ ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ყუთლუ-არსლანი, „ბიჭი“, როგორც მას თამარის ისტორიკოსი იხსენიებს, დაბალი წრიდან არის გამოსული და „სიმდიდრით აღზევებულთა“ წრის წარმომადგენელია, თუმცა მკვლევარი ფიქრობს, რომ მის მიმართ არ იყო უარყოფითი დამოკიდებულება, რის გამოც მისი გადაყენება მეამბოხეებს არ უთხოვიათ (ყუბასარისა და აფრიდონისაგან განსხვავებით), ს. ჯანაშიას აზრით, აჯანყდნენ დიდგვაროვნები. „ფეოდალური არისტოკრატია სრულ წარმატებას აღწევს გიორგის ქალის, თამარის, დროს“. „ახლა დიდებულები“ (მსხვილი ფეოდალი-მემამულენი) ხდებიან სახელმწიფოს შეუზღუდველი პატრონები. თამარის მეფობის პირველსავე წელს ისინი აძევებენ სახელმწიფო აპარატიდან მათთვის ღრმად საძულველს, გიორგი III დაყენებულს „უაზნო“ და „უგვარო“ მოხელეებს. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ძალებმა სცადეს (1185 წელს) დაებრუნებინათ დაკარგული მდგომარეობა და დაეპყროთ ახალი პოზიციებიც, აშკარა აჯანყების გზით. მეამბოხეთა მეთაური და მოძრაობის ბელადი ყუთლუ-არსლანი, თავის დროს თამარის მამის მიერ ფინანსთა მინისტრად („მეჭურჭლეთუხუცესად“) დანიშნული, დედოფლისაგან მოითხოვს უმაღლესი ხელისუფლების ახალი ორგანოს, „კარავის“ დაწესებას ... ეს მოძრაობა მარცხს განიცდის (ჯანაშია,1952: 427-428).

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანი დიდგვაროვანთა წრიდან არის (ბერძენიშვილი, 1974:138-144). იგივე აზრს იზიარებს პ. ინგოროყვა, რომელიც ამასთანავე ყუთლუ-არსლანს ჯაყელად მიიჩნევს (ინგოროყვა,1961:596-601). უკანასკნელი აზრი გამოთქმული აქვს ნ. შოშიაშვილსაც (შოშიაშვილი,1966: 7-77). გ. სოსელიასაც მიაჩნდა, რომ აჯანყებულები დიდგვაროვნები იყვნენ, თუმცა, მისი შეფასებით, ყუთლუ არსლანის დასის მიზანს წარმოადგენდა ფეოდალთა ბატონობის ძველი წესის შენარჩუნება და ამდენად მოძრაობა რეაქციული ხასიათისა იყო (სოსელია, 1958: 95).

ნ. ბერძენიშვილი არ იზიარებს აზრს, რომ ეს ამბოხი „მესამე წოდების“ პოლიტიკური გამოსვლა იყო (ბერძენიშვილი, 1974: 141) (განსხვავებით სხვა მეცნიერებისაგან - კიკვიძე, 1939: 15-17; მაკალათია, 1942: 167. Петрушевский, 1948: 97; აბაშმაძე, 1968: 336; Месхиа, 1959: 87; მესხია, 1979: 110-148; მესხია, 1962: 107; მეტრეველი, 2002: 473-491) და მიიჩნევს, რომ „ყუთლუს თანაშეფიცულნი ლაშქარნი და დიდებულნი იყვნენ“, იმდენად ძლიერები, რომ ყუთლუ-არსლანის დაპატიმრების შემდეგ „იარაღით სასახლის აღებასაც კი აპირებდნენ“ (ბერძენიშვილი, 1974: 142) მაშასადამე იმედი აქვთ, რომ მეფის ერთგულთა და საკუთართა წინააღმდეგობას დაძლევენ და ისანს სასახლეს აიღებენ ... არ ერიდებიან თვით სასახლის აღებასაც კი, ე.ი. მეფის შეურაცხყოფასაც კი (ბერძენიშვილი, 1974: 143), ამ მოძრაობის მონაწილეებს ნ. ბერძენიშვილი „რეაქციულ ფრთას“ უწოდებს. ბერძენიშვილმა ეს მოსაზრება „საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოშიც“ შეიტანა (ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, და სხვ., 1958: 197).

თამარის ტახტზე ასვლისას შექმნილი ვითარება ნ. ბერძენიშვილს უჩენს შეკითხვებს. „მოახსენეს“ თამარის მამიდა რუსუდანს, რომ თამარი მეფედ ეკურთხოს. მკვლევარი კითხულობს: „ამის „მოხსენება“ რა საჭირო იყო, თუ აქ რაიმე განსაკუთრებულს არ გულისხმობდნენ ეს „შეყრილები“, თამარი უკვე მეფე იყო „დიდის ფიცით დასმული მამის მიერ“ (ბერძენიშვილი, 1974: 131). შეყრილთა მოხსენება რუსუდან დედოფალმა „მოიწონა“ და „დაიჯერა“ და „უბრძანა და მოახსენა თამარს მეფესა და დედოფალსა“. და თამარი დამორჩილდა რუსუდანის ბრძანებას - „მსმენელი ჰაჯისაი ძალითა სამე დამორჩილებულ იქმნა“ (ბერძენიშვილი, 1974: 131). აქ ნ. ბერძენიშვილი სვამს შეკითხვას: „რა საჭიროა ავტორის ეს „ძალით სამე?“ გაიფიცნენ არა ყველა დიდებული ხელისუფალი, არამედ „ვიეთმე“, ცხადია ძირძველი დიდებული ხელისუფალნი ... „ამ ამბოხებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა თამარის მეფობის დასაწყისში ნ. ბერძენიშვილი, ერთ მთლიან მოძრაობად მიიჩნევს. მისი აზრით, იმ „ზიდვაში“, ყუბასარის დაცემას რომ მოჰყვა, ყუთლუ ცხოველ მონაწილეობას იღებდა - ამირსპასალარობას და სომეხთა ადგილზე ჯდომას აპირებდა ...“ (ბერძენიშვილი, 1974: 138).

ა. ბოგვერაძე, ნ. ბერძენიშვილის და დ. ლეთოდიანის მსგავსად, აგრეთვე არ ეთანხმება იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ამ მოძრაობას ორ ეტაპად - დიდგვაროვანთა გამოსვლად და სოციალურად ჭრელი („სიმდიდრესა ზედა ალაღებულნი“) კარვისელების ამბოხად ყოფდნენ (ბოგვერაძე, 1988: 147-160; ლეთოდიანი,1983).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ორი დიდგვაროვანი ქალბატონი იგზავნება, კრავაი ჯაყელი, დედაი აწ მყოფთა სამძივართა, და ხუაშაგ ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთერისთავისა რატისი, თუმცა ამ მოლაპარაკების პროცესში არ ჩანს რუსუდან დედოფლის მონაწილეობა, რომელსაც ყველა სხვა მნიშვნელოვან შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა აქვს.

მაგალითად, თამარის მეორე ისტორიკოსის გადმოცემით, თამარის ტახტზე ასვლის შემდეგ მეფე იწვევს საეკლესიო კრებას, სადაც თვოთონ გამოდის სიტყვით. კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მოკლედ აღწერის შემდეგ ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგად იღუაწონ შემოყუანებად სიძისა თამარისათუის, რომელი ყვესცა. და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა მართლმადიდებლობისათუის მათ ნათესავთასა, და ესეც ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს რომელსა იგი მოიყუანებდეს“, - აშკარად ჩანს მემატიანის უკმაყოფილება შექმნილი ვითარების გამო. მისივე ცნობით ამ გადაწყვეტილების და არჩევანის წინააღმდეგი იყო თვით თამარიც, მაგრამ „არა მომშვებელმან დედოფალმან რუსუდან და სპათა აიძულეს ქმნად“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 486). იგივეა თამარის პირველი ისტორიკოსის აზრიც: „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა, მოახსენეს თამარს და მათგან ნებადაურთავი განმზადეს ქორწილიო“ (ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთანი, 2008: 411).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ბევრი მკვლევარი შეხებია, ის არ კარგავს აქტუალობას. ცოტა ხნის წინ საკითხს დაუბრუნდა გიორგი მჭედლიძე. მისი განმარტებით ს. ჯანაშიას „ყუთლუ-არსლანის გამოსვლა თამარის დროს არსებითად დიდგვარიანთა მეორე, უფრო ორგანიზებულ - „აშკარა აჯანყების გზით“ - გამოსვლად მიაჩნია“. მკვლევარს მოაქვს გ. სოსელიას მოსაზრებაც, რის შემდეგაც აღნიშნავს, რომ „დიდგვარიანთა გამოსვლის შემდეგ, XII ს. 80-90-იან წწ. თბილისში დაიწყო მეორე, თავისი შემადგენლობით განსხვავებული სოციალური მოძრაობა, რომელსაც თამარის ისტორიკოსი, სწორედ ამის გამო, სავსებით ბუნებრივად გამოჰყოფს პირველისაგან და რომელსაც იგი, პირველისაგან განსხვავებულად, „უცხო მოსაგონებელს“ უწოდებს. მკვლევარი, ნიკ. ბერძენიშვილისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მოძრაობას ორ ეტაპად ყოფს და მეორეს მონაწილეთ „სიმდიდრით ალაღებულთ“ და „ამაღლებულთ“ გულისხმობს, პირველ რიგში ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენას, მსხვილ ვაჭრებს, რომელთაგანაც ზოგიერთი, მაგალითად, აბულასანი, გიორგი რუსის საქართველოში ჩამოყვანის შემდგომ დაწინაურდა (მჭედლიძე, 2006: 281-282). სავარაუდოა, რომ დიდგვაროვანთა ამბოხს შემდგომში სხვა ფენებიც შეუერთდნენ და აჯანყებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო, რის გამოც მას, შესაძლოა, ორგანიზატორებიც გაემიჯნენ. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო თავდაპირველად ამბოხის ინიციატორი? და ხომ არ გვაქვს ამის პასუხი „ვეფხისტყაოსანში?“.

ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების - ფარსადანის, დავარის, ნესტან-დარეჯანის და მეფე გიორგი III, მისი დის, დედოფალი რუსუდანის, და მეფეთამეფის თამარის იგივეობა. ამასთანავე ეს გმირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. თუ რუსუდანი ძირითადად პოზიტიური გმირია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გამოსჭვივის მემატიანეების უკმაყოფილება რუსუდანის მოქმედებით, ან მისი ზედმეტი აქტიურობით (მაგალითად, თამარის მეორე ისტორიკოსი აშკარად არ ეთანხმება მის გადაწყვეტილებას თამარის ხორეზმელზე ქორწინების შესახებ, ამასთანავე თამარის სურვილის წინააღმდეგ), დავარი „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი მახასიათებლებით არის წარმოდგენილი. „დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“. „მამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულება იცის კარგა, მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა“. „დავარ-ქაჯი, ვინ გრძნებათა ცაცა იცის“, „ქალმან შავმან ვერა არგო“. როდესაც დავარი მისი ძმის მუქარის შესახებ გაიგებს, ის უკიდურეს ზომებს მიმართავს: ტახტის მემკვიდრე ნესტანს მონებს წააყვანინებს და ზღვაში გადააკარგინებს. აშკარა კონფლიქტი და-ძმას შორის აიძულებს დავარს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს. ნაცნობი სიუჟეტია. დავარს მუქარის ამბის შესახებ შეატყობინა „ღვთისა მტერმან“. მაია სახურია აქ შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ცნაურდება, რომ ინდოეთის კარზე ბნელი ძალების მოციქულები მოქმედებენ და რომ ამ კაცის ქმედება კარგად გააზრებული გეგმის ნაწილია“. აქ მოტანილია ციტატა პოემიდან: უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია, წმიდასა

წყალსა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია“. საკვირველია ქაჯი მონების რეაქცია, - შენიშნავს მაია სახურია: „მათ გაეხარდეს, ხმამაღლა იყივლეს „იპი-იპია“. აშკარად ამბოხის სურათია. აქ მკვლევარი იხსენებს მამიდის სახეს ქართულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში: „მამიდას მგლის სუნი ასდის, და დეიდას - დედისო“. მაია სახურია თავის ანალიზს ასრულებს „ინდოხატაელთა ამბით“, რომლის რუსთაველისადმი მიკუთვნება ადრე სადავოდ იყო მიჩნეული და არ იყო შესული პოემის ადრეულ გამოცემებში, თუმცა აღდგენილია ახალ გამოცემებში და ნათელს ფენს რეალობას. პოემის შემაჯამებელ თავში კარგად ჩანს, თუ როგორ გახდნენ ფარსადანი და მისი მზიური სამეფო დავარ ქაჯის „სრვისა და ტკებნის“ მსხვერპლი ანუ „სიკეთის დამხობის წინასწარვე კარგად გათვლილი პოლიტიკისა“.

დასკვნები

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობ, იძლევა საფუძველს შემდეგი ვარაუდებისათვის: გიორგი III-ის მეფობის წლებში ორბელების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ამბოხებულების დიდი ნაწილის განდევნის მიუხედავად, ქვეყანაში მათი ბევრი მომხრე რჩებოდა, რამაც მის დას, რუსუდანს, რომელიც დემეტრე I-ის ასული იყო, როგორც ჩანს, ტახტის დაუფლების იმედი გაუჩინა. სწორედ ეს გახდა თამარის მეფობის დასაწყისში ფართომასშტაბიანი აჯანყების მიზეზი, რომლის მონაწილეებიც ფიცს დებდნენ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანთა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი უნატოდ გაძეულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჴმართაგან“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 405).

აქ ყურადღებას იქცევს აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად არა რუსუდანის, არამედ სხვა დიდებული ქალბატონების ჩართვა. სავარაუდოა, რომ იმას, რასაც გაურბიან და გვერდს უვლიან ოფიციალური მემატიანეები, ნათელს ფენს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ის, რომ რუსუდანი კარზე ძლიერი და გავლენიანი პიროვნება იყო, ეს პოემის გარდა (დავარი) „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის თხზულებებშიც კარგად ჩანს. სწორედ რუსუდანს შეეძლო შემოეკრიბა და გამოეყვანა მეფის კარზე არსებული რეალობით უკმაყოფილო ძალები, თუმცა ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ქვეყნის წარსულის ოფიციალური ვერსიაა, არაფერს ამბობს. მსგავსი ფაქტების გვერდის ავლა სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ არაფერს ამბობს დავით აღმაშენებლის მამის, გიორგი II-ის ტახტიდან გადაყენების შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ აჯანყება გიორგი III-ის მკვლელობით დაწყებულიყო, რის შესახებაც ინფორმაცია უკვე არამარტო „ქართლის ცხოვრებაში“, არამედ არც პოემაში არ არის, რომელიც მოვლენებთან ახლო დროში შეიქმნა, როდესაც ტახტზე თამარის შთამომავლები არიან. თუმცა, „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი თხზულებები არ მალავენ, რომ უკმაყოფილება გიორგის გატარებული პოლიტიკით დიდი იყო. ამასთანავე, გიორგი III-ის არყოფნის პირობებში, ცხადია, ადვილი ხდებოდა თამარის გზიდან ჩამოშორება. ამ ვარაუდისკენ მივყავართ თითქოს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში

წარმოდგენილ შემდეგ სურათსაც. როგორც ეს მემატიანე მოგვითხრობს, თამარი მამის გარდაცვალების შესახებ იგებს თბილისში, ისნის სასახლეში ყოფნის დროს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეფის სიკვდილი მოულოდნელი იყო. არ ჩანს, რომ ის ავადმყოფობდა. სწორედ ამიტომ, იმ დროს მასთან არც თამარი და არც მისი და არ იმყოფებოდნენ, თუმცა რუსუდანის სასახლეში მისვლისათვის, ყველა თანამდებობის პირი შეკრებილიყო. იმ თანამდებობის პირებზე, რომლებმაც რუსუდანი ჩამოიყვანეს სამშვილდიდან, და ვინც მას დახვდა სასახლეში, ნათქვამია, რომ „წარსრულმან პატრიარქმან და დიდებულთა კმასაყოფელთა წარმოიყვანეს სამშჳლდით“ ... „და მეფისა, დედოფალი რუსუდან, თანა გაზრდილისა მისისა, რომელთადა შემყრელნი იყვნეს“. ხოლო, როდესაც შევიდნენ „ტაძარსა სამეუფოსა“ „მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიაქი, ყოველთა ებისკოპოსთა თანა მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ჴელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი ...“ (ისტ. და აზმ. შარავანდედთანი, 2008, 400). აქვე აღვნიშნავთ, რომ ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანის მიხედით, გიორგიმ „იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა ოცდაშჳდსა, სამშაბათსა ვნებისასა, დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წაიყვანეს“ (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, 2008: 355). როგორც ვხედავთ, აქაც მაშინვე არ ხდება მეფის დაკრძალვა „ჟამის სიძნელის“ მომიზეზებით, რაც აგრეთვე ეჭვს იწვევს „თუესა მარტსა ოცდაშჳდსა“. გარკვეულ შეკითხვებს აჩენს პოემაც, სადაც დამაჯერებლობას მოკლებულია ნესტანზე განხორციელებული რეპრესიები მისი ცოცხალი მამის, მეფე ფარსადანის, პირობებში. თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ მეფე ფარსადანის გარდაცვალების თამარის ისტორიკოსებისაგან გიორგის გარდაცვალებისაგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. პოემის დასასრულს „ინდოხატაელთა ამბის“ მიხედვით ფარსადანი მოესწრება ნესტანის და ტარიელის გადაკარგვას, ეძებს მათ, თუმცა ინდოეთში დაბრუნებულებს ის ცოცხალი აღარ ხვდება. მეფე სამი თვის გარდაცვლილია და მისი ქვეშევრდომები მის გარდაცვალებას გლოვობენ. თამარის არც პირველი და არც მეორე ისტორიკოსი გიორგის გარდაცვალების ზუსტ მიზეზს არ ასახელებენ. არ არის გამორიცხული, რომ აჯანყება გიორგი III-ის მკვლელობით დაწყებულიყო.

ამდენად, თამარის მეფობის დასაწყისში მომხდარი აჯანყება, როგორც ჩანს, ორ ეტაპად მიმდინარეობდა. დასაწყისში დიდგვაროვანთა აჯანყების მიზანი სავარაუდოდ, რუსუდანის ტახტზე დასმა იყო, თუმცა მოგვიანებით მათ სხვა უკმაყოფილო ფენებიც შეუერთდნენ - ვაჭართა და მოქალაქეთა ზედა ფენები, რაც აჯანყების ლიდერების გეგმებში აღარ შედიოდა, რის გამოც მოწინააღმდეგეებთან მორიგება არჩიეს. ვითარება შეცვალა თამარის მეორე ქორწინებამ, რომლის შემდეგაც რუსუდანი კარზე კვლავ გავლენიან პიროვნებად რჩებოდა.

კატეგორიული დასკვნების გაკეთებას ხელს უშლის შესასწავლი პერიოდის აღმწერი მასალის სიმცირე. არ არსებობს დომინანტი მასალა,

რაც აძნელებს საყოველთაოდ აღიარებული ნარატივის ჩამოყალიბებას. ლაპარაკი შეიძლება ჰიპოთეზებზე, რომლებიც დაეყრდნობა ისტორიულ საბუთებს ან ავტორიტეტული მეცნიერების ვარაუდებს. ამასთანავე ყოველ მათგანს შეიძლება დაესვას შეკითხვები, რომელზედაც პასუხები არ მოიძებნება არც მატერიალურ და არც ანალიტიკურ სფეროში.

ეს, თავის მხრივ, აძლიერებს არსებულ მნიშვნელოვან „ცარიელ სივრცეს". რასაკვირველია, დროთა განმავლობაში აღმოჩენილმა ახალმა ისტორიულმა საბუთებმა ეს სივრცე შეიძლება შეავსოს. მაგრამ ამჟამად ჩვენი მოვალეობაა ხელთმყოფი მასალების შედარებით, მათი ყოვლისმომცველი სინთეზის, კრიტიკული ანალიზის და დედუქციის საშუალებით ახალი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეულწილად შეავსებს „თეთრ ზონებს" და შეარბილებს არსებულ დაპირისპირებას წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს და მათ ინტერპრეტაციებს შორის.

მაგალითად, დიდ ინტერესს იწვევს დედოფალ რუსუდანის როლი და ადგილი ანტისამთავრობო გამოსვლების პირველ ეტაპზე. სამეფო კარის მემატიანეები ხატავენ მისი „თამარისადმი სრული ლოიალობის" სურათს და ამავე დროს მიუთითებენ მის გავლენაზე არა მარტო აჯანყების მეთაურებზე, არამედ აქეთ ბანაკშიც - თვით მეფის კარზე (კათოლიკოსის მწიგნობართუხუცესად დანიშვნა, დიდებულების შეკრება თამარის დასახვედრად, თამარის გამეფების დროში გაწელვა, და ა.შ.). ამავე დროს მისი „თვითგანდგომა" სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან (კრავაი ჯაყელი, ხვაშაგ ცოქალი და სხვა) მიუთითებს იმაზე, რომ მას არ ჰქონდა უპირობო ავტორიტეტი აჯანყებულების ყველა ფენაზე, იგი არ იყო თავის თავში და გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებული, რომ ჩადგომოდა სათავეში თამარის საწინააღმდეგო ფრთას და ღიად გაეცხადებინა პრეტენზია სამეფო ტახტზე.

შოთას ალეგორია დავარისა და ნესტანის ურთიერთობაზე, სადაც მამიდის ძალაუფლება და საქციელი ძმისშვილის მიმართ ფაქტობრივად შეუზღუდავია, რჩება ჰიპერბოლურ პოეტურ მეთოდად, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გავლენაზე და იმაზე, რომ აღწერილ მოვლენებს ანალოგი გააჩნდა რეალურ ისტორიულ მონაკვეთში.

მიუხედავად მისი უდავო გავლენისა თამარზე, რომელსაც იგი სიკვდილამდე ინარჩუნებდა, ასევე არ დასტურდება მისი გადამწყვეტი როლი თამარის გამეფების შემდგომ მიღებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე (გამონაკლისს შეადგენს მისი როლი თამარის ქმრების - იურისა და სოსლანის არჩევაში).

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების დეკლარირებული მოთხოვნები (კარავი და ა.შ.) მკაფიოდ არის მითითებული შემორჩენილ წყაროებში, თვითონ აჯანყების ფორმა, მისი მამოძრავებელი ძალები, მეთაურები, სტადიები და, საბოლოოდ, ჩაქრობა, ცხადია, საჭიროებს დეტალიზაციას და დღემდე იქცევს მკვლევართა ყურადღებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

anderdzi mepet-mepisa davitisi. (1984). *kartuli ist'oriuli sabutebi (IX-XIII ss.).* I. composed and prepared for publication by T. Enukidzem, V. Silogavam, N. Shoshiashvilma, tbilisi. (ანდერძი მეფეთ-მეფისა დავითისი. (1984). *ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.).* I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი.).

areveltsi, vardan. (2002). *msoplio ist'oria*. dzveli somchuridan targmnes n. shoshiashvilma da e. k'vzach'ant'iradzem. shesavali, komentarebi da sadzieblebi daurto e. k'vzach'ant'iradzem. tbilisi. (არეველცი, ვარდან. (2002). მსოფლიო ისტორია. (2002). ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბილისი).

bat'onishvili, vakhusht'i. aghts'era sameposa sakartvelosa. (1973). *kartlis tskhovreba*. t'. IV. All the main manuscript text was published, preface, notes and index was added by S. Qaukhchishvili. tbilisi. (ბატონიშვილი, ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (1973). *ქართლის ცხოვრება*. ტ.IV. ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ.).

berdzenishvili, n. (1974). *sakartvelos ist'oriis sak'itkhebi, VII*, tbilisi. (ბერძენიშვილი, ნ. (1974). *საქართველოს ისტორიის საკითხები*. VII. თბ.).

berdzenishvili, n. dondua v. dumbadze m. da skhv. (1958). *sakartvelos ist'oria. damkhmare sakhelmdzghvanelo*, tbilisi. (ბერძენიშვილი, ნ. დონდუა, ვ. დუმბაძე. მ. და სხვ. (1958). *საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო*. თბ.)

bogveradze, a. (1988). qutlu-arslanis dasis gamosvlis shesakheb (tamaris ist'orik'osis tkhzulebis t'ekst'is gagebisatvis). *matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria.* N4. (ბოგვერაძე, ა. (1988). ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ (თამარის ისტორიკოსის თხზულების ტექსტის გაგებისათვის). *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* № 4.).

davlianidze, l. (1968). mkhitar goshis „albanetis kronik'a". *kartuli ts'qarotmtsodneoba*. II. Tbilisi. 1968. (დავლიანიძე, ლ. (1968). მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა". *ქართული წყაროთმცოდნეობა*. II. თბ.).

ingoroqva, p'. (1961). rustvelianas ep'ilogi. *Tkhzulebani*. t'.1. tbilisi). (ინგოროყვა, პ. (1961). რუსთველიანას ეპილოგი. თხზულებანი. ტ.1. თბ.).

k'vach'ant'iradze, e. (1989). kronologiis sak'itkhebi vardan areveltsis „msoplio ist'oriashi". *matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria.* №2. (კვაჭანტირაძე, ე. (1989). ქრონოლოგიის საკითხები ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში", მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, „მაცნე". № 2).

k'ik'vidze, a. (1939). sakartvelo XII sauk'uneshi, *tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi,* IX. (კიკვიძე, ა. (1939). საქართველო XII საუკუნეში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, IX).

mak'alatia, s. (1942). *tamar mepe*. Tbilisi. (მაკალათია, ს. (1942). *თამარ მეფე.*

თბილისი).

letodiani, d. (1983). peodaluri op'ozitsiis brdzola samepo khelisuplebis ts'inaaghmdeg me-13 s-is bolos (qutlu-arslanis dasis gamosvla), *tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi*. t'. 243. V. (ლეთოდიანი, დ. (1983). ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მე-13 ს-ის ბოლოს (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა). *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 243. V).

meskhia, sh. (1979). *sashinao p'olit'ik'uri vitareba da samokheleo ts'qoba XII sauk'unis sakartveloshi.* tbilisi. (მესხია, შ. (1979). *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*. თბ.).

meskhia, sh. (1962). *sakalako k'omuna shua sauk'uneebis tbilisshi*. Tbilisi. (მესხია, შ. (1962). *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში.* თბ.)

met'reveli, r. (2002). *davit aghmashenebeli, mepe tamari*. tbilisi). (მეტრეველი, რ. (2002). დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი. თბ.)

mch'edlidze, g. (2006). qutlu-arslanis modzraobis shesakheb (nik'. berdzenishvilis k'ontseptsiis zogierti sak'itkhi), *kartveluri memk'vidreoba*. № 10. (მჭედლიძე, გ.(2006). ყუთლუ-არსლანის მოძრაობის შესახებ (ნიკ. ბერძენიშვილის კონცეფციის ზოგიერთი საკითხი). *ქართველური მემკვიდრეობა*, № 10).

kartlis tskhovreba. (2008). r. met'revelis redaqtorobit. tbilisi. (*ქართლის ცხოვრება*. ((2008). რ. მეტრეველის რედაქტორობით. თბ.)

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa. (1892). shek'rebili da kronologiurad dats'qobili t. zhordanias mier. ts'. 1. t'pilisi. *(ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* (1892). შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 1. ტფილისი).

rustaveli, shota. (1970). *vepkhist'qaosani.* Edited and researched by p'avle ingoroqva. ts'igni 1. tbilisi. (რუსთაველი, შოთა. (1970). ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევით. წიგნი 1. თბ.).

soselia, g. (1958). qutlu arslanis dasis politikuri programis shesakheb. s*okhumis m. gork'is sakhelobis p'edagogiuri inst'it'ut'is shromebi.* X-XI. (სოსელია, გ. (1958). ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. X-XI).

surguladze, m. (2006). *kartuli saistorio aktebi*. tbilisi: gamomcemloba „artanuji". (სყრგულაძე, მ. (2006). *ქართული საისტორიო აქტები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი").

shoshiashvili, n. (1966). torelta peodaluri sakhlis ist'oria da shota rustaveli. *shota rustaveli. ist'oriul-pilologiuri dziebani*. tbilisi. (შოშიაშვილი, ნ. (1966). თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. *შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*. თბ.).

javakhishvili, iv. (1983). kartveli eris ist'oria. *Tkhzulebani*. II. Tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1983). ქართველი ერის ისტორია. *თხზულებანი*. II. თბ.).

javakhishvili, iv. (1984). kartuli samartlis ist'oria, ts'igni meore, nak'veti meore,

tkhzulebani, t'. VII. tbilisi, 1984. (ჯავახიშვილი, ივ. (1984). ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. *თხზულებანი*. ტ. VII. თბ.).

janashia, s. (1952). sakartvelos ist'oria udzvelesi droidan me-13 s-mde. *Shromebi*. II. Tbilisi. (ჯანაშია, ს. (1952). საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. *შრომები*. II. თბ.).

japaridze, g. (1995). sakartvelo da makhlobeli aghmosavletis islamuri samqaro. tbilisi. (ჯაფარიძე, გ. (1995). *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*. თბ.).

Meskhia, Sh. (1959). *Goroda i goroskoi stroi feodalnoi Gruzii.* Tbilisi. (Месхиа, Ш. (1959). *Города и городской строй феодальной Грузии*. Тб.).

Petrushevski, I. (1948). Gorodsakaia znat v gosudarstve chulaguidov. *Sovetskaia vosokovedenia. Moskva.* (Петрушевский, И. (1948). Городская знать в государстве хулагуидов. Советское востоковедение. IV. Москва).